

3
1953.

ზოგიერთმა რაიონმა დღემდე
ვერ მოასწრო სკოლების მიმდინ-
ნარე რემონტის ჩატარება.


ეკონომიკური

— ვინ დაიგვიანა?
— განათლების განყოფილე-
ბამ, მახწავლებლო!



№16 აპრილის 19
განთავსებულია „კომუნისტი“

0355





— ლევან გლახუნია იხე ჩამჯდარა თავის თანამშრომლებში, თითქოს თავის ჯალაბობის სურათს იღებდეს.
 — მაშ როგორ მოქცეხ? ეხენი მართლაც მისი თანამშრომლებია... და მისი ნათესავები...

მგელი, ყვავი და მელა...

მადრიდის დიქტატორმა ფრანკომ ამას წინათ რიხით განაცხადა: ინგლისმა უნდა დაგვიბრუნოს ჰიბრალტარი; ომის დროს იგი გვიბრუნებოდა ჰიბრალტარის დაბრუნებას, მაგრამ დღემდე დაპირებას არ ასრულებსო. ფრანკოს ასეთი გაბედული მოთხოვნა მკითხველის გაკვირვებას აღარ გამოიწვევს, თუ შევატყობინებთ, რომ მოკლე ხანში გადაწყვეტილია ხელშეკრულების დადება დიქტატორ ფრანკოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ესპანეთის ტერიტორიაზე ამერიკელების სათვის საშხედრო ბაზების დათმობის შესახებ.

ეს ამბავი ძალაუნებურად გვაგონებს იმ არაქს, მელას რომ გაგულისებულნი მგელი შესაქმელად მისდევდა, მგელს რომ ზურგზე ყვავი დააჯდა და მელას მისძახოდა:



— ხომ შეგაშინე, მელაკუდავ, დადექი თუ ბიჭი ხარ!

ლილი და პაგარა აქლემი

გერმანული ყოველკვირეული ჟურნალი „ზონტაგი“ აქვეყნებს ცნობას „ბონის რესპუბლიკაში“ ბავშვთა დანაშაულობის ზრდის შესახებ. გასულ წელს ქალაქ ჰაგენში რეგისტრირებული ყოფილა სისხლის სამართლის დანაშაულის 208 შემთხვევა, რაც 14 წელზე მცირე ხნის ბავშვებმა ჩაიდინეს. ჟურნალი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის მოქალაქენი ამ მოვლენას ასე ხსნიან:



— უოჩად, ბიჭიკო, შენ იხე გაიწაფე ახეთ ხაქმეებში, ცოტა დიდი რომ იყო, აღენაუერახ მთავრობის წევრად აგარჩევდნენ!



(იზაზ-პარაკი)

სქელჯიქნიანი და სქელკისერა
ტკბილად ლოკავდა მარილს გიშერა.

კუდაბზეკილი, თავაწეული
იქვე ჩაცუტქდა ჭრელი ფინია:
— რას ლოკავ აგრე გატაცებული?!
გავვოცებულვართ, გავვიცინია.

რამ დაგაბრმავა, რამ გაგახელა,
ასე გზა-კვალი რამ ავიბნია?
ამოდენა ხარ, ასი ჩემხელა
და სალოკავი ვერ მივიგნია.

რა ხეირი გაქვს, რა სარგებელი,
მაგ მლაშე ქვაში აბა რა ჰყრია?
ან ბოჩოლა ხარ, ან სულ ბებერი,
ან გზადაბნეულს თავში გაკლია.

ეგ რომ ვიკადრო, — თავიც მომიკვდეს...
მე მწამს პატრონის ოქროს მკლავიო,
ძვალსაც მომიგდებს, პურსაც მომიგდებს,
მისი ხელია სალოკავიო.

შემოუბრუნდა მყეფარს გიშერა:
— კარგი სიტყვა თქვი, ღმერთმაც
გიშველა.

მე შენს ტოლობას არც კი ვაპირებ,
შენ მლოკავი ხარ ძველზე ძველიო,
მე მხოლოდ ძლიერ, ძლიერ მაკვირვებს
ჩვენი პატრონის საქციელიო.

როცა ლაქუციით მისკენ მიიწევ,
როცა ულოკავ პატრონს ხელსაო,
რატომ ივიწყებს, რატომ ივიწყებს
საზრდოდ ვინ აძლევს რძეს და ყველსაო.

რად შემოგცქერის პირმომცინარი,
რად უციმციმებს შვებით თვალიო,
რატომ ივიწყებს: — ჩვენგან ვინ არის
მისი ოჯახის მარჩენალიო.

* *

როგორც წესია, ამ იგავ-არაკს
სხვა ქარაგმა აქვს, სხვა კილოკავი:
ის მოაგონებს ბევრს ჩვენს ამხანაგს,
რაც ცხოველია ხელის მლოკავი.

აზრასიონ კინეზოგრაფიული

ლაყეს მეძახიან!
რა არის ამაზე უფრო სამარცხვინო სახელი! თავის მო-
საჭრელად ისიც კი კმარა, რომ კაცის ყველაზე მეტად მასხა-
რად ასაგდებად ლაყე კვერცხის სროლაა მიღებული. მიღებუ-
ლი-მეთქი, ახლა ვინღა იკადრებს ამის ჩადენას. ისე კი ზოგი-
ერთს ნამდვილად ეკადრება ასეთი რამ. ღიახ, ეკადრება, თუ
არ გჯერათ, ყური დამიგდეთ.

მე ერთი ჩვეულებრივი ნაცარა ქათმის კვერცხი ვარ. საწ-
ყალმა დაკაკნება ძლივს მოასწრო, ისე ააცალეს ჩემი თავი
საბუღრიდან. ჯერ ისევ თბილ-თბილი წამილეს და ცეკავშირს
ჩამაბარეს. ცეკავშირმა კი თბილად მიმიღო და რაკი ჩემი
ჯიში სიცხეს ვერ იტანს, თბილისის მაცივარკომბინატის გზას
გამიყენა. რა ყიჟინა იყო, რა სიხარული, როცა 3,522,960
ცალი ახალთახალი კვერცხი თბილმაცივარკომბინატს ერთად
მივაღვექით.

მაგრამ ჩვენი ვალაყების ტრაგედია სწორედ აქედან
დაიწყო. მიგვიტანეს თუ არა, ერთხმად ვთქვით: „რატომ ჰქვია
ამ კომბინატს თბილმაცივარი, ნუთუ ზოგჯერ თბილდაც შე-
გვინახავს“ ვთქვით და ჩვენი ნათქვამი მაშინვე ახდა. ერთ
საათს რომ ყინვით გულს გაგვიგრილებდა, მეორე საათში ისეთ
ალმურს შემოგვინთებდა ხოლმე, თავი აბანოში გვეგონა.

ასე გეტანჯეს კარგა ხანს. შემდეგ ვილაცა ღვთისნიერმა
ხმა ამოიღო: „უშველეთ რამე საცოდავ კვერცხებს, ილუპე-
ბიანო“ და დაიწყო კომისიობანას თამაში, მოვიდოდნენ, გულს
გავვისინჯავდნენ და წავიდოდნენ. ბოლოს როცა თქვენი ქირი
წავიღეთ და ამქვეყნის პირი აღარა გვქონდა, ერთხმად დაა-
სკვნეს: „მაგათი გაჩერება აქ აღარ შეიძლება, უფალმა აცხო-
ნოს, რა კარგი კვერცხები იყვნენ“.

გავგრეკეს თბილციკომბინატიდან და სასწრაფო გან-
კარგულება გასცეს იმის შესახებ, რომ 24 საათის განმავლო-
ბაში უნდა შექმულიყო ყველა ჩვენგანი.

მე და ჩემი 71.999 მეგობარი ბორჯომის კურორტვაქ-
რობაში ჩავერთანეს. ცეკავშირის განკარგულების თანახმად, აქ
მთელი ბორჯომის ხეობა ფეხზე უნდა დამდგარიყო და ჯადო-
სნური სისწრაფით, 24 საათის განმავლობაში ზედიზედ უნდა
ვეყლაპეთ.

რაკი ასეთი სისწრაფის განვითარების დროს ბორჯო-
მელი დამსვენებელ-მასპინძლები ვერ გაარკვევდნენ ვინ ლაყე
ვიყავით, ვინ ნახევრად ლაყე და ვინ სამ მეოთხედად, დაიწყო
ჩვენი დახარისხება. გვახარისხეს ბორჯომელებმა, გვამოწმეს და
როცა რამდენიმე დღეში ყველა ერთი ხარისხის გავხდით, ზოგი
სახელმწიფოს მიერ დასამარხად მიგვიჩინეს, ზოგნი მომხმარე-
ბელზე გავვასაღეს ხარისხდაკარგულის იარლიყით და დანარ-
ჩენზე კი ლაყე კვერცხების სროლა შეექმნათ: „არა შენ სტყუი,
არა მე ვარ მართალი“.

ახლა კი, მე, ლაყე კვერცხს, სრულიადაც აღარ მაინტერე-
სებს, ვინ არის მათ შორის მტყუანი და მართალი. მე უკვე
ჩემი ხალათი გავცვით ამ ქვეყანაზე და უკანასკნელი სიტყვა
მინდა ვთქვა: ჩემო პატროსანო მომხმარებელო, დაუკვირდი
შენს საქციელს, ჩემი ასეთი საკვირველი თავგადასავლის მოს-
მენის შემდეგ „ლაყეს“ მაინც მე მეძახი?! რატომ, რა დავა-
შავე?!

ბეჭეტი

საქართველო
შემახიერები



საოცარი სიტყვაა „ობა“, დაუსვამთ წინ რომელიმე საკუთარ სახელს თუ არა, მაშინვე მიიღებთ საკუთრივ რომელიმე აღმანიანს დღეობას: ვასილია, ნინაობა, ანაობა, ნიკოლოზობა, თამარობა, მარიამობა, გიორგობა და სხვა და სხვ. და სწორედ ამ მრავალმა ობამ ამაფორიაქა, ჩემში კვლევის ინტერესი გააღვივა და აღმოჩნდა, რომ ეკლესიის კალენდრის მხებდები იმდენი ობა უფილა, რამდენიც სახელია. ამასთანავე თვითულ „წმინდანის“ სახელს ზოგჯერ წყლიწინად რამდენიმე ობა ჰქონია.

ზოგიერთ სახელს „წმინდანების“ სიმრავლე ეტყობა. ასე მაგალითად: „წმინდანი“ პოლიხრონიოს დაბადებულა სამეგრეო, არქიპოს და ვალერიანე—ოახჯერ თვითელი, ემელიანე, ილარიონი, კონსტანტინე, ლუკიანე, ნიკოლოზ, პორფირე, ფილიპონ, ქრისტეფორე და ანასტასია—ხოთჯერ, დიმიტრი, თომა, კოზმან, მავრი, სანა და ტროფიმე—ექვსჯერ, ევტახი, ვილიაჟი და ნიკიტა—შვიდჯერ, აკაკი, ევსევი, ილია, ლუკა, ტომოჟ და ფილიპე—რვაჯერ, დავით და სტეფანე—ცხრაჯერ, ანტონი, ზოსიმე, ლეონტი და მარიამი—ათჯერ, პავლე, სვიმეონ და ანა—თერთმეტჯერ, ანდრია და მარკო—თორმეტჯერ, ვასილი და თეოდორე—ცამეტჯერ, იაკობ და მაქსიმე—ოთხმეტჯერ, გიორგი—თხუთმეტჯერ, გრიგოლი—თექვსმეტჯერ, თეოდორე—ოცდამეათჯერ, პეტრე—ოცდახუთჯერ... ხოლო „წმინდანა“ იოანე ანუ იოანე—სამოცდაათჯერ დაბადებულა. ასეთი „ისტორიული“ კვლევებიცაა „შემდეგ მივიღი იმ დასკვნამდე, რომ ამ „წმინდანთა“ დაბადების დღის მიხედვით არის ტრადიციულად დაწესებული და ზოგჯერ ჩვენს სახარალოდ განმტკიცებული ეგრეთ წოდებული დღეობა.

— ზოგი სახელი ისეთია, რომ მისმა პატრონმა არ შეიძლება დღეობა არ გადაიხადოს.—დაბეჭდვებით შეუზღუბა ჩემი სამსახურის ამხანაგი.
— გადაიხადოს, თანახმა ვარ, მაგრამ მე რას მხედე ვინებს?

— უსაჩუქროდ მისვლა სირცხვილია.
— სულ არ მივალ და ის იქნება.
— ეს კიდევ უფრო საძარცხინია, იტყვიან განზრახ არ ეწვია, საჩუქრის ყიდვას გაურბის, ძუნწი და უმანანგაო. საზოგადოებრივი ზომ არ უნდა გამოწყვედო.
ვიფიქრე, მტერს არ გავცემეფიქრე, ძუნწი არა ვარ, ამხანაგები მიყვარს, საზოგადოებრივ ვტრიალებ-მუთქი... და ბოლის და ბოლოს ძალაუფლებიდა მეც ჩავემი ამ ობების ფერხულიში.

რადაც სადავიდარიბოდ ჩვენს სამსახურში ისეთი ხალხია თავმოყრილი, რომ მათი სახელთა ობა სავალდებულო მოუღუნადაა გადაქცეული... ვასილი, ნინა, ანა, თამარი, მარიამი, გიორგი, ანდრია, ბარბარე... თვითავის დროზე ზოგი ახალი და ზოგი ძველი სტილით ობას იხდის და ყველას თავის შესაფერისი საჩუქარი უნდა მიართავა. შეიქნება თუფშემის ტრილი, განადგურდება გოკი, ინდაური, ქათამი, თეთრი და წითელი ღვინო; მრავალი მშვეფარე და აღფრთოვანებული სიტყვა წარმოითქმება და ბოლოს დაიწყება უფრადან უფრო გარდასავალი მსჯელობა, ქეთის და საჩუქრების შეფასება. საუბრის ეს თემა ზოგჯერ მორბეობაშიც კი ვასტახს.

ერთერთ ასეთ სახელწოდების დღის შემდეგ შემოხვევით შეგეწყარო ამხანაგ ქალსს შორის გამართულ ცხარე გამოს, ლამაზი იყო დღეობაზე მოტანილი საჩუქრების გარშემო და ამის მიხედვით ისაღვრებოდა თვითულ სტუმრის ხელგაშლილობა, კულტურისობა და გემოვნება.

— შენ უნდა ნახო რა საჩუქარი მომიტანა ნიკო.—ამაყად თქვა ნინომ.
— რა არის ასეთი არაჩვეულებრივი?—ცნობისმოყვარებით იკითხა ანამ.
— ცოტათი უბნს ანაობაზე შენი ბენოს მიერ მოართმეულს.—ირონიულად ჩაურთო თამარამ.
— შენი უფროსის ბახულო გემოვნებას მაინც კი აჯობებს.—იყო პასუხი.

—თავიარია უკრალდება და არა მოსალოცის ღირებულება.—ჩინში მარიამმა.
—თა ვაცვლა-გამოცლის შემდეგ, ბარბარე დასკვნა, რომ წყურტურული და გემოვნების მქონე კაცია, რადგან ნინაობასკენს ნინიჩქას „პოლიარონი“ მიულოცა. შაილა უფრო ეფექტური კაცია—მისი კალით-თავიული გაზაფხულოვით რქონდა. შედაბრეთ. ბენომ ანაობაზე მოძველებული და მოპცრო ზის ტორტი მოიტანა და ნახევარზე მეტი თვითონვე შეგზამა. ბენოს პიროვნებას სავსებით გვიხატავს და განმარტებას „საქრობებს. მათიკომ კი პირდაპირ მასხარად ითვლო. დაკლული ინდაური რომ მოათარია, როგორ, ვახშამარ იქნებოდა ეგონა, თუ დამშუღლები გვუღებოდა იქ?
—რა, ყველაზე განათლებული ექვთიმეა.—ამობდა ნინო მეიქრეპიშის შემდეგ.

ეს სახელის გაგონებაზე ტანში დამცქცლა.
—რც სხვებია გაუნათლებელი.—შეესტყვა თამარი.
—ს კეთონისი კაცია, მაგრამ მეტად კვიინდა და ენა-წყლიან-განჯარო ნინომ.—ბუკინისტეზში ნაყიდ ცაუტეპენითანს ბრინული და მარგალიტი სიტყვები წარაქმდებოდა:
...ღღს იბაა,—ჰო, ღმერთმანია...
—მ წინის უფრცლები გავეითლებულა, ყვითელი ფერი ჟაბალს ნინმაეს.—მოკლედ მოუჭრა თამარი.
ჭამბა სიცილი ბატებს. მე ჩემად დავტრეე მათი აღგელასმუველი.

ამშემდეგ ისიც გავეიგე, რომ ჩემი სახელწოდების დღე ოცი ათრი უფილა, მაგრამ ჩემსას ექვთიმობა კაცს არ უნახავს და ითი არაფერი დამკლებია. ზოგერთობა, ალბათ, ჯერ კიდევ არაიზარებს ჩემს შეხელდებას, მაგრამ პირადლ მე მტკიცედ აღდმეფრე შედგა: არც მე ჩავთვალა ჩემი თვე „წმინდანის“ და არც სხვა „წმინდანების“ დღეობაში მივიღო მონაწილეობა.

მზი

ლამე თერთად გავათენე, ისე როგორც ამას წინათ, თბილისური სიტყე იგვა, სიტყემ აღარ დამაბინა.

კოჭრის ნიაფს დიღით უნდა გაეუფანდა ჩემი დარცო... მაგრამ კვებ, ღვინიან შემღილივით ნამოფარიც!

ყველა გამაღვრე-გამომიღვრე, ყვეფი ფანჯარა ნიახა,—ვიცნად, როცა ნამებია, სწორედ მაშინ შემოძმბა.

რა იქნება, ერო სავაჭრო რომ არტეხსაც დაუწესოს,—შმის ამოსვლას ვიღი უცდის, შემომციყვის: აღარ ჩქესიო!..

რა იქნება, იმ შავტუხა ბიჭმაყ ასე არ იჩქაროს: ყვეათების მინა გულზე დიღით რომ არ დამაყაროს!?

გულზე ცეცხლი მეკიდება, ნავთი, აბა, რაღა მინდა?! აბეზარი ზარის ხმა კი ყურს სახარად მოაფრინდა!..

მანონით და კვერცხით კვება, დაე, მიზნად დამისახონ, უმაღ უმაღ გადაყვამაყ, ოღონდ გვიან დამძიხონ!

რა იქნება, მემომბეღმა მორტოკელს არ ჩასყეს წიხრი, მთურე ქვეყანას იკვებს დიღით მისი ძველი მორტოკელი!..

სახლმმართველიც ხელს უმართავს ამ ჩემს ამბავს სასაცილოს, აივანზე მამაღს აბამს, რომ სულ აღარ დამაბინოს!

დელი. ოღლიაბაბა





ჩვენი არგანის საამქროები

სტალინირში არსებობს არტელი „წითელი ოქტომბერი“. ეს არტელი ამა წლის ოქტომბერს ისე მიუახლოვდა, რომ გეგმების შესრულებაში ცოტა უკაცრავად არის. ბოდის მოსახდელად კი არტელს საქმეს ის უხდის, რომ მისი ზოგიერთი საამქრო (როგორცაა მექანიკური და სამკედლო) უთავოდ მუშაობს. ეს უთავოდ მუშაობა კი იმაში გამოიხატება, რომ საამქროების შენობას არ გააჩნია ქერი და ნახევრად ასეთ-სავე მდგომარეობაში აქვს სახურავი. სკედავენ მკედლები და როცა წვიმა წამოვა, მექანიკური, თუ სამკედლო საამქრო მექანიკურად ჩერდება და უცილიან ბუნების დაშოშმინებას.

არტელს რემონტის გასაკეთებლად აქვს გამოყოფილი 80.000 მანეთი, მაგრამ რემონტი არ კეთდება, რადგან, როგორც საამქროს მუშები ჩურჩულით ამბობენ, არტელის თავმჯდომარეც იმავე დღეში ყოფილა, როგორ დღეშიც არტელის მექანიკური და სამკედლო საამქროა.

ნოდარ ჯაფარიძე

წისქვილმა კი ფქვასო...

თბილისში არსებობს წისქვილკომბინატი. წისქვილი ამ დაწესებულებას იმიტომ ჰქვია, რომ ხორბალს ფქვავს, თორემ ისეთი მოცულობისაა, რომ ჩვეულებრივი წისქვილის ოდენა მხოლოდ მანქანის ერთი რომელიმე პატარა ბორბალი გააჩნია. „დიდ ქორწილს დიდი ხარჯიცა აქვსო“, უთქვამს ამ კომბინატის დირექტორს ანხ. დ. გოგიჩაძეს და როცა მოახსენეს: „ჩვენი საწყობის გამგე ე. გოტვაძე ფქვილს გამოუცხოვლად კამსო“, ასე უპასუხა: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

ამ ანდაზით წაქეზებულმა საწყობის გამგემ ერთ შეკმად 1006 კილოგრამი ფქვილი „ამბტვერა“ და როცა დირექტორის კაბინეტიდან იგივე ანდაზა მოისმა, გოტვაძემ ახალი ქეიფი დაიწყო. ამ ქეიფში ისეთი მადამოეცა, რომ ერთი ხელის დაკვრით 377 ხუთფუთიანი ფქვილით სავსე ტომარა გადაყლაპა.

თანამშრომლები კი ამბობდნენ:

— უშველეთ გოტვაძეს, წყალი მაინც აუროეთ ფქვილში, კინალამ დაახრჩო მშრალმა ფქვილმაო.

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო... — კვლავ გაიმეორა თავისი საყვარელი ანდაზა დ. გოგიჩაძემ.

— ღმერთი თუ გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო, — ანდაზას ანდაზით უპასუხა გოტვაძემ და უკვე მადანზე მოსული, პირველი ხარისხის ფქვილს რომ მართლა არ დაეხრჩო, უმალესი ხარისხის ფქვილს მიადგა. მიადგა და დამატებით 1319 კილოგრამი მიირთვა.

წისქვილი კი ფქვავს, მაგრამ რატომ, მეწისქვილეებო, ვილაცა ვიგინდარა სახელმწიფო ქონებას რატომ ნთქავს?

მ. ხაბაჯიშვილი

ბაჯითაი თავმჯდომარეები

საჩხერის რაიონის სოფ. სარეკისა და ბაჯითის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. აბრამიშვილმა ისეთი უბეჯითობა გამოიჩინა, რომ კარგა ხნის წინათ დაწყებული კლუბის მშენებლობა მე-7 საუკუნის ძეგლის ნანგრევებს დაამგვანა. ამოაყვანინა საძირკველი, ზედ ქვიშა მიაყარა, საბჭოს თავმჯდომარეს კ. ცაბაძეს დიდი საკლუბო სამიძიარი უთხრა და მშენებლობა მიატოვა.

ახლა კოლმეურნეები გასართობად ნახევრადკინოფიცირებულ საყდარში დადიან. იქ ზოგი ეკრანს უყურებს, ზოგი ეკლესიის მოხატულ სვეტებს და მოძრავ, თუ უძრავ სურათში ფასს ერთნაირად იხდიან. ეს ხდება გაზაფხულზე და ზაფხულში, ზამთარში კი, როცა საყდარში ბზე ყრია, სარეკელ-ბაჯითელი ახალგაზრდები სახლში შუაღვესს უსხედან და ამბობენ: „რა ცეცხლში ჩავარდეთ, როგორ ავამოძრაოთ ჩვენი ორი თავმჯდომარეო“.

მართლაც და ძნელია მათი ამოძრავება, ეს ორი თავმჯდომარე, თურმე, წლის ამ დროს ერთთავად სუფრის თავში ზის.

ვარ. ლენიძე

გვემა შეასრულა

ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. შველიძემ „მეცხოველეობის განვითარების“ მიზნით კოლმეურნეობას 4300 მანეთად მიყიდა საკუთარი ძროხა, რომელიც მალე მოკვდა.

პირ ნახას. ლაქარბულიყო...

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობის ბუხალტერიში არ აღმოჩნდა ჩადებული 175 ტონა სილოსის გაფორმების საბუთები.



— მა, რას იტყვი, მისა, ვითომ ი ხილოსს ორმოში ჩავატანეთ საბუთები?



— არიქა, მიშველეთ, ძროხა კვდება!
— დანა მოგიტანო?
— არა, ბუხალტერს დაუძახე ხახრათოდ გააფორმოს. ჩემ ძროხას არ სურს მოკვდეს როგორც კერძო ძროხა!



საქართველოს ჟურნალი

საქართველოს
საბჭოთაო

როდესაც თბილისის საქალაქთშორისო ტელეფონის სადგურში შენს მიერ გამოძახებული რაიონის სალაპარაკო დრო იწყება, აფორიაქებული ძალაუნებურად სწყევლი ტელეფონის გამომგონებელს, რომლის ოცნებაში მხოლოდ და მხოლოდ აღდამიანების ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი შედიოდა...

დაუქმყოფილებელი და წელმოწყვეტილი მიდიხარ სალაროსთან, რათა უკან დაიბრუნო ტელეფონით მომსახურებისათვის განკუთვნილი, წინასწარ გადახდილი ფული. ფულს ითვის და აღმოჩნდება, რომ მოზრდილი თანხა თავისთვის დაუტოვებიათ. — „ეს იმიტომ, რომ თქვენს მიერ გამოძახებულს უწყება შინ მიუტანეს“, — ისმენ განმარტებას, — „ხოლო ესეც იმისათვის, რომ თქვენ გამოგიძახეთ!“ — ავტორიტეტულად ამთავრებს მოლარე.

გინდა შეეკამათო, დაუმტკიცო, რომ, ალბათ, იქ, რაიონში უწყება არ მიუტანეს, თორემ ყოველად შეუძლებელია ვინმე მაინც არ გამოცხადებულიყო დასალაპარაკებლად, რომ ტელეფონის სადგურში უსულგულო ხალხია თავშეყრილი... მაგრამ მოლარის გაწიწმამებულ სახეს რომ შეხედავ, ამჯობინებ გაეცალო და გულისწყრომა გულშივე ჩაიკლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი ირკვევა, რომ თურმე იქ რაიონში, ან არ გადაუციათ უწყება, ან გვიან გადაუციათ, ან გადაუციათ, მაგრამ სალაპარაკოდ მოსულისათვის გამოუცხადებიათ (ისევე, როგორც შენთვის) — „თქვენთან მოლაპარაკე არ გამოცხადდაო!“

შორიდან ვგრძნობ, ამ წერილის კითხვისას ტელეფონით სალაპარაკო სადგურის მუშაკებმა სიბრაზით შუბლი შექმუხნეს, მზად არიან იყვირონ (როგორც საერთოდ შეჩვეულნი არიან!) და შემოგვძახონ:

— ფაქტები!.. ფაქტები!..

კეთილი, მივდიოთ ფაქტებს:

ჩვენი ტელეფონის მუშაკებმა არც კი იციან, თუ სად იმყოფება სოფელი რეჩხო-ცხირი... იგი ქ. გალიდან შვიდი კილომეტრითაა დაშორებული. და აი, ამ რეჩხო-ცხირის მცხოვრებმა მოქ. ხუტა ნაყოფიამ ივლისის თვეში ორჯერ გადმოლახა ეს შვიდი კილომეტრი, ორჯერ ჩამოვიდა ქ. გალში, რათა სასწრაფო საქმის გამო დალაპარაკებოდა თავის ძმას თბილისში მცხოვრებ ალექსანდრე ნაყოფიას.

ალექსანდრემაც როგორღაც თავის დროზე მიიღო უწყება, და, აი, უცდის ორი ძმა, ერთ და იმავე დროს იმ წუთს, როდესა ტელეფონისტი ქალები შორიშორს მყოფ საყვარელ ძმებს ერთმანეთს დააკავშირებენ. „უსაზღვრო იყო მათი მოლოდინი...“ სალაპარაკო დრო დამთავრდა. გალში ხუტას უთხრეს თბილისში ალექსანდრე არ გამოცხადდა, ხოლო თბილისში ალექსანდრეს — გალში ხუტა არ გამოჩენილაო. ხუტა რალას იზამდა, იმ შვიდ კილომეტრს თბილისამდე მანძილიც დაუმატა და ტელეფონით იმედგაცრუებული პირდაპირ თავის ძმას მიადგა დედაქალაქში.

მოქ. თამარ ცხადაძე, რომელიც 1934 წლიდან თბილისში ცხოვრობს, წარმოშობით ვანის რაიონის სოფელ ინაშაურიდანაა. იმ ხნის განმავლობაში, რაც თამარი თბილისში იმყოფება, ერთი შემთხვევაც არ ახსოვს ვანიდან მშობლები დალაპარაკებოდნენ. ხშირად ერთმანეთს ნახულობდნენ და წერილებსაც უფრო ხშირად სწერდნენ. და, აი, უცებ, თამარ ცხადაძეს სასწრაფო სატელეფონო უწყება მოსდის ვანიდან. შეი-

ქნა ოჯახში ზრიალი. თამარმა ყველა ახლობელი გამოიტერა: — ალბათ, რალაც უბედურებაა ჩემს თავზე, რომ ასე სასწრაფოდ ტელეფონზე მეძახიანო...“

თურმე ნუ იტყვიო, თამარი აბაშას გამოუძახნია (სადაც მისი შვილი იმყოფებოდა და საიდანაც გამოძახებას ელოდა), ხოლო საქალაქთშორისო სადგურში აბაშის ნაცვლად შეცდომით ვანი დაუწერიათ. (საიდან სადაო!..) კიდევ კარგი, ეს ამბავი იმ დღესვე გამოირკვა სრულიად შემთხვევით და ისიც ტელეფონისტი ნაცნობი ქალის საშუალებით, რომელმაც ყურმილში ათას ხმებს შორის რალაცნაირად აბაშიდან დაიჭირა ცხადაძის გვარი, ვანის ნაცვლად აბაშა შეაერთა და დედაშვილი ერთმანეთს დალაპარაკა.

ხოლო ქ. თბილისში, ყიფიანის ქ. № 7/2 მცხოვრები მოქ. ბობოხიძის გვარი საქალაქთშორისო სადგურში ოთხნაირად გადააკეთეს. მათ მიერ გამოგზავნილი უწყება № 182 იუწყებოდა, რომ 18 აგვისტოს მოქ. ბობოხაძე გამოძახებული იყო ტელეფონით ქ. ქუთაისიდან. შემდეგ მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს, პირველ უწყებას ახალი უწყება დაადგინეს და ბობოხაძე ბობოხაძედ გადააკეთეს, ხოლო სადგურში გამოძახებულთა წიგნაკში ბობოხიძე ხან ბობოხაძედ ეწერა და ხან ბოვერაძედ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი ამბები ერთი ეზოს ხალხს გადახდა. ალექსანდრე ნაყოფია და თამარ ცხადაძე ცოლ-ქმარნი არიან, ხოლო ბობოხიძე მათი მეზობელია. წარმოგიდგენია, რამდენ ოჯახს აქვს საქართველოში საქმე საქალაქთშორისო ტელეფონით მოსალაპარაკებელ სადგურთან და რამდენი ასეთი კუროზული შემთხვევის ცოდვა ამძიმებს ტელეფონების სადგურების მუშაკთა სინილისს...

3. სიმონია

ზენის პირად. რესპონდენი ნ.ბ. დონია



— მე თქვენ ხაჩვრის წიგნი მოგთხოვეთ, ამხანაგო, რა მოხდა, ხაჩვრის წიგნს მაინც რისთვის მიგვანებთ?
— მოითმინეთ, ბატონო, ხომ ხედავთ ცხრაშეტი მაგიდა მზარია, ხაჩვრის წიგნი ყველას როგორ გახწვდება!

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ხ. ფაშალიშვილი.

ეკავური ახალი სასწავლო

53-209
თარგმანი
ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა

— რომელი განხრით გინდათ აღიზარდოს თქვენი ყმაწვილი, მისტერ? მისი ასაკის შეხაფერი ტანკებიცა გვაქვს, ბომბებიც... და ყელის გამოსაპრელი სამართებელიც...